

ერთი წელი 20-21 ივნისის მოვლენებიდან

I. შესავალი

2019 წლის 20-21 ივნისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენები, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის დაშლა და ამ მიზნით გამოყენებული ჭარბი საპოლიციო ძალა უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველაზე მძიმე და მასშტაბური უფლებრივი დარღვევების განმაპირობებელი აღმოჩნდა.

აქციას, 20 ივნისის დილას, წინ უსწრებდა საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში, თავმჯდომარის ტრიბუნასთან რუსეთის ფედერაციის დეპუტატ სერგეი გავრილოვის გამოჩენა, რომელიც პარლამენტში მართლმადიდებლობის საერთაშორისო ასამბლეის სხდომის ფარგლებში იმყოფებოდა. რუსი დეპუტატის მიერ მაღალი ტრიბუნის დაკავებამ საზოგადოების დიდი პროტესტი და ანტისაოკუპაციო აქციის გამართვა განაპირობა. პარლამენტის წინ შეკრება-მანიფესტაცია რამდენიმე საათის განმავლობაში მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც აქციის მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა პარლამენტის შენობაში შესვლა სცადა. აღნიშნულს სამართალდამცავებსა და პროტესტის მონაწილეთა ნაწილს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა, რის შემდეგაც სპეციალური საშუალებების გამოყენებით, აქციის დაშლა დაიწყო.¹

რეპრესიული აპარატის პოლიტიკური მიზნით გამოყენებაზე გაცხადებული უარის მთავარი დაპირებით, 2012 წელს მომხდარი სახელისუფლო ცვლილების შემდეგ, ეს იყო პრაქტიკულად პირველი შემთხვევა, როდესაც დემონსტრაციული საპოლიციო ძალით და იძულების სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, ხელისუფლებამ მრავალრიცხოვანი შეკრების დაშლის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების აღსრულება, აქციის დაშლის შესახებ სამართალდამცავთა მხრიდან წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მომიტინგეთა ცალკეული ჯგუფების დესტრუქციული ქმედებების შემდგომ, ადამიანის უფლებების დარღვევების მძიმე პრაქტიკით, მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ანტისაოკუპაციო შეკრება-მანიფესტაციის შეწყვეტის მასშტაბურ საპოლიციო ღონისძიებებში, საერთო ჯამში მონაწილეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს 5000-მდე თანამშრომელმა მიიღო.² სამართალდამცავებმა, მომიტინგეთა მიმართ, ცრემლსადენი გაზის და წყლის ჭავლის გარდა, არალეტარული ჭურვების სახით 12-კალიბრიანი და 38-მილიმეტრიანი 800-მდე რეზინის ტყვია ისროლეს.³

აქციის დაშლას კი, 21 ივნისის გამთენიისას, პოლიციის მხრიდან დემონსტრანტების მიდევნება და სხვადასხვა ტერიტორიაზე დაკავება მოჰყვა. დაკავებულთა ნაწილი მიუთითებდა პოლიციის კონტროლის ქვეშ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე.⁴

¹ EMC, 20 ივნისის მოვლენები: აქციის დაშლა და ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი პრაქტიკა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30Njvmq>.

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 21 აგვისტოს MIA31902221560 წერილი.

³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 21 აგვისტოს MIA31902221560 წერილი.

⁴ EMC, 20 ივნისის მოვლენები: აქციის დაშლა და ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი პრაქტიკა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30Njvmq>.

ოფიციალური მონაცემებით, 20-21 ივნისს 275 ადამიანი დაზარალდა, მათ შორის იყო 187 სამოქალაქო პირი, 40-მდე ჟურნალისტი,⁵ 73 პოლიციის თანამშრომელი. მიყენებული დაზიანებების გამო, ქირურგიული ჩარევა 28 პირს დასჭირდა. ასევე დადასტურებულია, რომ რეზინის ტყვიით გამოწვეული ტრავმის შედეგად, ორმა დემონსტრანტმა დაკარგა ცალი თვალი, რამდენიმე დაზარალებულს მნიშვნელოვნად დაუზიანდა მხედველობა.⁶

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებიდან ერთი წლის თავზე, წინამდებარე დოკუმენტი აფასებს მასობრივი საპოლიციო ძალის გამოყენებით გამოწვეულ უფლებრივ დარღვევებზე სახელმწიფოს რეაგირების ეფექტიანობას, მოქალაქეთა მიმართ და პოლიციის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების დღემდე არსებულ შედეგებს. დოკუმენტი ეყრდნობა შესაბამისი უწყებებიდან მიღებულ ინფორმაციას, საჯარო წყაროებში არსებულ მასალას, სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშს 20-21 ივნისის მოვლენებზე პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების შესახებ.

II. აქციის მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავებები აქციის დაშლის შემდგომ

20-21 ივნისის ღამეს, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სამართალდამცავთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სულ 342 ადამიანი დააკავეს.⁷ ადმინისტრაციულად დაკავებულთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში არასაკმარისი ადგილების გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა სასამართლო პროცესამდე ყველა დაკავებულის იზოლატორში შესახლება, რის გამოც, დაკავებულთა დიდ ნაწილს, სასამართლო პროცესის გამართვამდე, ღამის საათებიდან 21 ივნისის დილამდე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ეზოში, პოლიციის მანქანებში მოცდა უწევდა.⁸

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 2019 წლის 21 ივნისს დილიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკავებულთა სახით წარდგენილ აქციის მონაწილეთა მიმართ გამართული სასამართლო პროცესები, რა დროსაც EMC, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, იცავდა დაკავებულთა ინტერესებს, ასევე აკვირდებოდა პროცესების მიმდინარეობას. სასამართლოში არ არსებობდა ათობით მიყვანილ დაკავებულთა საქმის განაწილების მოწესრიგებული სისტემა და დაკავებულებს საათობით უწევდათ მოცდა სასამართლოს დერეფნებში. გართულებული იყო დაკავებულებთან დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელებისთვის აუცილებელი კომუნიკაცია და დაკავებულებთან ადვოკატის კონტაქტი მხოლოდ რამდენიმე წუთით, პროცესის დაწყებისას ხდებოდა.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა ინდივიდუალურ საქმეთა განხილვა, 21 ივნისს, კრიტიკულად მოკლე დროში (რამდენიმე წუთით) მიმდინარეობდა, რა დროსაც, დაკავებულთა სამართალდამრღვევად მიჩნევისა და ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისთვის საკმარის მტკიცებულებად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შაბლონური ოქმი და პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები გამოიყენებოდა. EMC-ის

⁵ იხ. <https://bit.ly/2YBCuhg>.

⁶ იხ. <https://bit.ly/30LwZiw>.

⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 21 აგვისტოს MIA31902221560 წერილი.

⁸ EMC, 20 ივნისის მოვლენები: აქციის დაშლა და ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი პრაქტიკა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30Njvmq>.

წარმოებაში არსებულ საქმეთაგან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ერთგვაროვნად იყო შევსებული და ინდივიდუალური გარემოებების გარეშე, რუსთაველის გამზირზე პირთა ყოფნის, მათი მხრიდან წესრიგის დარღვევისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შესახებ მიუთითებდა. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლისთვის, პირის სამართალდამრღვევად მიჩნევის საკმარის საფუძველს დაკავებულის მიერ ღამის საათებში აქციაზე ყოფნის დადასტურება წარმოადგენდა.⁹

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების და პროცესებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ისიც, რომ სასამართლოს მიდგომა დაკავებულთა მიმართ 21 ივნისის საღამოს 17 საათამდე არსებითად განსხვავდებოდა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების შემდგომი პრაქტიკისგან¹⁰. მთელი დღის განმავლობაში, სასამართლო დაცვის მხარეს მეტწილად უარს ეუბნებოდა დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელების, მტკიცებულებათა მოპოვების, მოწმეთა წარდგენისთვის პროცესის გადადების შუამდგომლობაზე და დაკავებულთა მიმართ პოლიციელთა ჩვენებების საფუძველზე იყენებდა ადმინისტრაციულ პატიმრობას. 21 ივნისის საღამოს საათებში, სასამართლომ დაიწყო საქმეთა გადადების შუამდგომლობების დაკმაყოფილება, დაკავებულთა ხელწერილით გათავისუფლება. ივლისში გადადებულ საქმეთა შემთხვევებში კი, სასამართლოს აღარ გამოუყენებია ადმინისტრაციული პატიმრობა, რიგ შემთხვევებში, მათ შორის, EMC-ის წარმოებაში არსებულ 4 საქმეზე, შეწყვიტა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო. საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ, 20-21 ივნისს დაკავებულ 121 პირს შეუფარდა 14 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა.¹¹ აღნიშნული, გასულ წელს სასამართლოს მიერ საერთო ჯამში ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულთა დაახლოებით 30%-ს შეადგენს.¹²

21 ივნისს სასამართლოს მიერ პატიმრობაშეფარდებულ დემონსტრანტთა შემთხვევებში, დამატებით პროცესუალურ დაბრკოლებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ფორმალური წესების დაცვით ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების გასაჩივრება წარმოადგენდა. აქციაზე დაკავებულ პირთათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემდგომ, მათი გადაყვანა ქვეყნის მასშტაბით არსებულ სხვადასხვა ქალაქში მდებარე დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდა, რა დროსაც, ობიექტურ სირთულეს, პატიმრობაშეფარდებული პირის მიერ სააპელაციო საჩივრის კანონის შესაბამისად ხელმოწერით დადასტურება წარმოადგენდა.¹³

საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით 61-მა პირმა მიმართა. ანტისაოკუპაციო აქციაზე მყოფ პირთა მხრიდან კონკრეტული სამართალდარღვევების გამორკვევის გარეშე, მათი სამართალდამრღვევად მიჩნევის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიდგომა გაგრძელდა სააპელაციო წესით საქმეთა განხილვის დროსაც. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ, სამართალდამრღვევად მიჩნეულ პირებს მეტწილად შეუძცირა

⁹ EMC-ის წარმოებაში არსებული ი.ი.-ს, გ.ტ-ს საქმეები.

¹⁰ საია, დაკარგულ თვალს მიღმა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3d5AcMg>.

¹¹ იხ. <https://bit.ly/2xruvWG>.

¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 18 მაისის N3-0446/3679559 წერილი.

¹³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლი.

შეფარდებული ადმინისტრაციული პატიმრობის ხანგრძლივობა და 55 დაკავებული სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.¹⁴

ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა ნაწილი კი, რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პატიმრობის ვადის შემცირებით გაათავისუფლდა. კერძოდ, 20-21 ივნისის მოვლენების დროს პირველად, პროკურატურამ გამოიყენა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, პრაქტიკაში უმოქმედო დებულება და სასამართლოს პროტესტით მიმართა.¹⁵ ამ წესის შესაბამისად, პროკურატურამ, თბილისის საქალაქო სასამართლოსგან 51 პირისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შეცვლა/შემცირება მოითხოვა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროტესტი ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა და დაკავებულები 21 ივნისს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეფარდებული სახდელის ზომისგან - პატიმრობის ვადის შემცირებით გაათავისუფლდნენ.¹⁶

20 ივნისის მოვლენებზე დაკავებულთა საქმეების განხილვამ, კიდევ ერთხელ მძიმედ წარმოაჩინა სასამართლოში არსებული ვითარება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური პრობლემა, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სათანადო სარგებლობას. ეს პრობლემები, ყველაზე მწვავედ კი სწორედ შეკრება-მანიფესტაციების დროს დაკავებული პირების მიმართ ვლინდება.

სასამართლომ საქმეები უკიდურესად მცირე დროში, ობიექტური შეფასებისთვის საჭირო და აუცილებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში განიხილა. სასამართლო განხილვებს მკვეთრად გამოხატული ხელწერა ჰქონდა, რა დროსაც, ის, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით იყენებდა სახდელის ყველაზე მძიმე ფორმას - ადმინისტრაციულ პატიმრობას. ამ საქმეების განხილვის პროცესში გამოვლენილმა ერთგვაროვანი ხასიათის მიდგომებმა, უკიდურესად მცირე ვადებში პირთა სამართალდარღვევების თაობაზე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებამ, გააჩინა მოსამართლეთა შეთანხმებულად მოქმედების განცდა, რა დროსაც მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობა სახელმწიფოს რეპრესიული მოქმედებების ერთ-ერთ ბერკეტად გამოიყენებოდა.

III. 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიება

20 ივნისს გამართული ანტისაოკუპაციო აქციის შეწყვეტის შემდგომ მომხდარ მოვლენებზე გამოძიება ორმა უწყებამ პარალელურად დაიწყო - შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქციის მონაწილეების მხრიდან სავარაუდო ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სახით¹⁷, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა კი - შინაგან საქმეთა

¹⁴ იხ. <https://bit.ly/2UK8A9a>.

¹⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 274-ე მუხლი.

¹⁶ იხ. <https://bit.ly/3e5EIM5>.

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი.

სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან აქციის დაშლის დროს უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების სავარაუდო შემთხვევებზე.¹⁸

1. შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე გამოძიება

როგორც აღინიშნა, 20-21 ივნისს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ცალკეული დემონსტრანტების მიმართ გამოძიება ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე წარიმართა. მოგვიანებით კი, კვალიფიკაცია დაზუსტდა და დამატებით, ცალკეული პირების მხრიდან ამბოხების გზით სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისა და ხელში ჩაგდების კვალიფიკაციით გაგრძელდა.¹⁹

ხელისუფლების დამხობის კუთხით გამოძიების წარმართვამ, წინა წლებში არსებული გამოცდილების გათვალისწინებითაც, საზოგადოებაში გააჩინა აღქმა, რომ საგამოძიებო ორგანოს აღნიშნული გადაწყვეტილება, შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან 20-21 ივნისს მიმდევარ უფლებრივ დარღვევებზე მოქალაქეთა პროტესტის გადაფარვის და აქციის მონაწილეთა დისკრედიტირების მცდელობა იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ გამხდარა, რაც, დღემდე ტოვებს ეჭვებს ამბოხების კვალიფიკაციის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით.

საგამოძიებო ორგანოების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა, აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში, გარკვეულ შემთხვევებში, დატოვა საზოგადოებაში ბრალდებულთა მიზანმიმართულად უარყოფით კონტექსტში წარმოჩენის განცდა. ასეთი მიდგომა გამოვლინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბეჟან ლორთქიფანიძის მიმართ, როდესაც საგამოძიებო უწყების მიერ მის საქმეში მტკიცებულების სახით არსებული ვიდეოჩანაწერის ნაწყვეტი გავრცელდა, მოგვიანებით მედიაში ნაჩვენები სრული ვიდეომასალა კი, ობიექტურ დამკვირვებელს აქციაზე მყოფ ლორთქიფანიძის ქცევებთან დაკავშირებით განსხვავებულ დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევდა.²⁰

პრობლემური იყო მორის მაჩალიკაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდების დასაბუთებაც, რომელსაც, ბრალი პოლიციის მიმართ ძალადობაში ედებოდა. მორის მაჩალიკაშვილი, აქციაზე ბიძასთან - მალხაზ მაჩალიკაშვილთან ერთად იმყოფებოდა. EMC-ის შეფასებით, რომელიც ბრალდებულის ინტერესებს იცავდა, საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები ვერ ადასტურებდა 20-21 ივნისის აქციაზე პოლიციის მიმართ ბრალდებულის ძალადობის განზრახვას. ვიდეო მასალა არ აჩვენებდა მისი მხრიდან კორდონის გარღვევისა და შეტევის, პოლიციის მიმართ ძალადობის, მისი ეკიპირების წართმევის, ან თავდაცვის მიზნით აქტიური მოგერიების მცდელობაც კი. ბრალდების სუსტი დასაბუთების პირობებში, ჩნდებოდა ეჭვი საქმის პოლიტიზირებისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის ბრძოლაზე ზეგავლენის ინსტრუმენტად გამოყენების თაობაზე.²¹

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁹ იხ. <https://bit.ly/3hw0WsT>.

²⁰ იხ. <https://bit.ly/2Y28Y59>; <https://bit.ly/2UMvVAU>.

²¹ იხ. <https://bit.ly/37vMVXL>.

დღემდე, აღნიშნული გამოძიების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო აქციის 17 მონაწილის მიმართ, ასევე ბრალდებულად ცნეს პარლამენტის წევრი ნიკანორ მელია და პოლიტიკოსი ირაკლი ოქრუაშვილი. აქციის მონაწილეთა მიმართ, პროკურატურის თავდაპირველი შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ 16 დაკავებულს პატიმრობა, ერთ პირს კი აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა. მოგვიანებით, 8 ბრალდებულის მიმართ, პატიმრობა გირაოთი შეიცვალა. ამავე საქმეზე, დაზარალებულად ცნობილია 68 პოლიციელი.²²

შინაგან საქმეთა სამინისტროში, 20-21 ივნისის მოვლენებზე მოქალაქეთა მხრიდან ჯგუფურ ძალადობაზე გამოძიების წარმოების პარალელურად, გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის დაშლისას და შემდგომ ჩადენილი დარღვევების ფაქტებზე. შედეგად, დღემდე, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა სამინისტროს 11 მოსამსახურეს. გამოვლენილი დარღვევები გულისხმობდა აქციის მონაწილეთა სიტყვიერ შეურაცხყოფას, დაკავებულთა ბადრაგირების წესის დარღვევას, სპეციალური საშუალებების არაეთიკური ფორმით მომიტინგეებისკენ მიმართვას. სანქციის სახით, ხსენებული თანამშრომლების მიმართ სამინისტრომ გამოიყენა საყვედური, სასტიკი საყვედური და სიტყვიერი შენიშვნა, ერთ შემთხვევაში კი, სავარაუდო დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქმე გადასცა პროკურატურას გამოძიების მიზნით. სამსახურებრივი შემოწმების დასრულებამდე, უფლებამოსილება შეუჩერდა სამინისტროს 7 თანამშრომელს,²³ მათ შორისაა 20 ივნისის შეკრება-მანიფესტაციის შეწყვეტის ოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი - განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი.²⁴

2. პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება

20-21 ივნისის მოვლენებზე, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე შეკრების შეწყვეტისას შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან ძალადობით უფლებამოსილების გადამეტების სავარაუდო ფაქტებზე გამოძიება გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში 2019 წლის 22 ივნისს დაიწყო. გამოძიების დაწყებისთანავე, უწყებამ ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს, თანამშრომლობისა და გამოძიებისთვის რელევანტური ინფორმაციის მიწოდების შესახებ თხოვნით მიმართა.²⁵ გამოძიების პროცესში საგამონაკლისო წესით ჩაერთო სახალხო დამცველიც, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ეცნობოდა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მასალებს.²⁶

საგამოძიებო უწყებამ, ერთი წლის განმავლობაში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი თანამშრომლის მიმართ, რომელთა საქმეები, ამ დრომდე, სასამართლოში განიხილება. ბრალდებულთაგან ორი მათგანი გირაოს სანაცვლოდ არის გათავისუფლებული, ერთი პირი კი იმყოფება პატიმრობაში.²⁷ ამავე საქმეში, დაზარალებულის

²² საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 27 მაისის N13/27251 წერილი.

²³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 2 ივნისის MIA 8 20 01185376 წერილი.

²⁴ იხ. <https://bit.ly/2UH5VgH>.

²⁵ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 29 ივნისის N13/47039 წერილი.

²⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e5VMln>.

²⁷ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 27 მაისის N13/27248 წერილი.

სტატუსი, სპეციალური საშუალებებით ჯანმრთელობის დაზიანების თუ დაკავების დროს სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის გამო, მინიჭებული აქვს სულ 8 მოქალაქეს.²⁸

აღნიშნული საქმის გამოძიება თავიდანვე მოექცა საზოგადოების განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ, რაც შეკრების მძიმე შედეგებით დაშლას და საზოგადოებაში არსებულ პროტესტს უკავშირდება. საწყის ეტაპზევე, მთავარი საკითხი აქციის არაპროპორციული ძალით დაშლაზე პასუხისმგებელი მაღალი თანამდებობის პირების გამოკვეთა და მათი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების სათანადო შეფასება წარმოადგენდა.²⁹ საქმეზე პროკურატურის ტემპი, დაბალი რანგის პოლიციელთა ქმედებებზე ორიენტირება, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიმართ პასუხისმგებლობის არარსებობა, დაზარალებულთა მიმართ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები კიდევ უფრო აღრმავებს გამოძიების შედეგებისადმი საზოგადოების უნდობლობას.

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის თანახმად, გამოძიება, ამ დრომდე, პოლიციის რიგითი თანამშრომლების ქმედებებზე ფოკუსირდება და არ არის მიმართული პოლიციის ხელმძღვანელთა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენისკენ. ანგარიშში, გამოძიების მასალებზე დაყრდნობით მითითებულია, რომ შეკრება-მანიფესტაციის დაშლის დროს პოლიციის თანამშრომლებმა დაარღვიეს ვალდებულება, არაღელვარებით დაუდგინონ მხოლოდ ხელმძღვანელის ბრძანების გაცემის საფუძველზე გამოყენების თაობაზე. ასევე გამოიკვეთა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ღონისძიებას და არ გასცეს ადგილზე სათანადო მითითებები, რეზინის ტყვიების გამოყენების შეწყვეტის თაობაზე.³⁰

გამოძიების პროცესისადმი დამატებითი კრიტიკა შეკრების დაშლის დროს დაზიანებული დემონსტრანტების დაზარალებულად ცნობას უკავშირდება. გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში, პროკურატურა დაუსაბუთებლად, უარს აცხადებდა აქციაზე მძიმე დაზიანებების მქონე მოქალაქეებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე. მათ შორის იყვნენ ის პირები, ვინც სამართალდამცავთა სპეციალური საშუალებების გამოყენებით თვალი დაკარგეს, ან მხედველობა მნიშვნელოვნად დაუზიანდათ. ამ პირთა დაზარალებულად ცნობა, მხოლოდ საზოგადოების მწვავე კრიტიკისა და ზეწოლის შედეგად მოხდა. გამოძიებამ დაზარალებულად არ ცნო არც ის ჟურნალისტები, რომელთაც ჯანმრთელობის სხვადასხვა ტიპის დაზიანებები 20-21 ივნისის მოვლენების გაშუქების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღეს.³¹

სამართალდამცავთა წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების პროცესში, დამკვირდებული პრაქტიკით, საგამოძიებო უწყების დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება პირის დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ, გამოძიების პროცესში დაზარალებულის ჩართულობის, მათ შორის საქმის მასალებზე წვდომის ხელშეშლას უკავშირდება. პროკურატურამ, მოცემულ შემთხვევაშიც, მთელი წლის განმავლობაში, სულ 8 პირი ცნო

²⁸ საქართველოს სახალხო დამცველის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e5VMln>.

²⁹ EMC, 20 ივნისის მოვლენები: აქციის დაშლა და ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი პრაქტიკა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30Njvmq>.

³⁰ საქართველოს სახალხო დამცველის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e5VMln>.

³¹ იხ. <https://bit.ly/30LwZiw>.

დაზარალებულად. აღნიშნულ პირებს, საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა შეზღუდულად მიეცათ. პოლიციის თანამშრომლების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, სამ შემთხვევაში საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და დაზარალებულთათვის ხელმისაწვდომი სწორედ საქმის ეს ნაწილი გახდა, სხვა შემთხვევაში კი, დაზარალებულად ცნობილ პირებს საქმის მასალებიდან მხოლოდ მათთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა მიეცათ.³²

საქმის მოცულობის, მრავალრიცხოვანი მტკიცებულებების მოპოვების, მათი სათანადოდ შეფასების სირთულის მიუხედავად, გამოძიების დაწყებიდან ერთი წლის ვადაში საგამოძიებო ორგანოს გადადგმული უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები მომხდარის სრული სურათის აღდგენისთვის, გამოკვეთილი უნდა იყოს 20 ივნისის აქციაზე ჭარბი და არაპროპორციული საპოლიციო ძალით დაშლაზე პასუხისმგებელ პირთა წრე. ამის მიუხედავად, გამოძიების შედეგები, პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ დაბალი რანგის პოლიციელებზე, ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირების როლისა და ქმედებების ბუნდოვანება, საქმეზე დაზარალებულად ცნობილთა სიმცირე, ამყარებს ეჭვებს გამოძიების ეფექტიანობის, სრულყოფილებისა და ყოველმხრივობის შესახებ.

IV. დასკვნა

20-21 ივნისის მოვლენებიდან ერთი წლის თავზე, საზოგადოებაში კვლავ არსებობს ლეგიტიმური კითხვები, აქციის დაშლის ოპერაციის დაგეგმვასა და სისრულეში მოყვანაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ. ასევე უდავოა, რომ საჭიროა, რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებში მონაწილე ყველა ჯგუფის პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა კანონის თანასწორობასა და უზენაესობის პრინციპებზე დაყრდნობით გამოიკვეთოს.

ამის მიუხედავად, ხელისუფლების მიერ ამ მოვლენების ირგვლივ ერთი წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები, პოლიციის ძალადობაზე სუსტი რეაგირების ფონზე, აქციის მონაწილეთა მიმართ მასობრივად გამოყენებული ადმინისტრაციული პატიმრობა, შემდგომ კი მათ წინააღმდეგ წარმოებული გამოძიების ინტენსივობა და წინასწარი პატიმრობის გამოყენების მაღალი მაჩვენებელი, მიუთითებს ხელისუფლების მხრიდან პროტესტის მონაწილეთა მიმართ ანგარიშსწორების მცდელობაზე. 20-21 ივნისის მოვლენებისადმი სახელმწიფოს ამ მიდგომას ცხადყოფს ის რეალობა, რომ საზოგადოებას დღემდე არ აქვს პასუხები აქციის დაშლის დაგეგმვის და აღსრულების პროცესში შეკრების და მანიფესტაციის, თავისუფლების და ფიზიკური ხელშეუხებლობის, არასათანადო მოპყრობის დაცვის ფუნდამენტური უფლებების დარღვევებზე პოლიტიკურად და სამართლებრივად პასუხისმგებელი პირების შესახებ. სამი შემთხვევის გარდა, ფაქტობრივად არ გატარებულა ხსენებულ მოვლენებში მონაწილე მოძალადე პოლიციელების მიმართ შესაბამისი ზომები.

ამასთან, 20 ივნისის შეკრება-მანიფესტაციის დაშლისას ნათლად გამოჩნდა, რომ პოლიციას არ გააჩნდა ადამიანის უფლებების სტანდარტების დაცვით შეკრების უფლებაში ჩარევის, ადამიანების მასების მართვის ეფექტიანი, გონივრული გეგმა, რის გამოც, მასობრივად და განურჩევლად გამოიყენა ჭარბი საპოლიციო ძალა და დაარღვია სპეციალური საპოლიციო საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა და წესები. ამ მოვლენამ აჩვენა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციური გამოწვევა, შესაბამისი სტრატეგიის, ტექნიკების, ადამიანური

³² საქართველოს სახალხო დამცველის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e5VMln>.

რესურსის არარსებობა, რომელიც მასობრივი შეკრებების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართვის შესაძლებლობას მისცემს. ერთი წლის შემდეგაც, უცნობია, რა ნაბიჯები გადაიდგა შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ მიმართულებით, საფრთხეების სათანადო გაზომვის და პრევენციის უზრუნველყოფისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი წლის შემდეგაც, მწვავედ დგას 20-21 ივნისის მოვლენებზე გონივრულ ვადებში ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიების წარმართვის, აქციის დაშლის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირების, ისევე როგორც ინდივიდუალური პოლიციელების დანაშაულებრივი ქმედებების გამოკვეთის და სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი. გამოძიებისადმი ნდობისთვის კვლავაც არსებითია სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულ პირთა მაქსიმალური ჩართულობა, ისევე როგორც საზოგადოების სრულყოფილი და პერიოდული ინფორმირება გამოძიების შედეგების შესახებ. ამასთან, სისტემურ გაანალიზებას და გადაზრებას საჭიროებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეკრება-მანიფესტაციებზე ფართო მასების მართვასთან, სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური გამოწვევები.

20-21 ივნისის ფართო საზოგადოებრივ პროტესტზე ჭარბი საპოლიციო ძალებით რეაგირებამ, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ქვეყანაში არსებული ღრმა და სისტემური პოლიტიკური კრიზისი. კრიზისული სიტუაციების არსებითად საპოლიციო ძალებით მართვა, ეწინააღმდეგება დემოკრატიული, სოლიდარული პოლიტიკური პროცესების წარმოების მიზანს და მმართველი ძალის მხრიდან მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობებს ააშკარავებს. წლების განმავლობაში, სამართალდამცავ სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ცვლილებებზე გაწეული ძალისხმევა, სისტემას უფრო სანდოს, სოციალურ ტრანსფორმაციებზე ორიენტირებულს არ ხდის. ამის მიზეზი, პოლიციელთა ინდივიდუალური თვითნებობის მიღმა, სახელმწიფოს, როგორც არსებითად დამსჯელი მექანიზმის გაგებაშია.

საზოგადოების წუხილებისგან ხელისუფლების გათიშულობა, სოციალურ პროტესტებთან მიმართებით მშვიდობიანი და დიალოგზე დაფუძნებული პოლიტიკის არარსებობა სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის ინსტრუმენტალიზებას და სოციალური უთანხმოებების კიდევ უფრო გაღრმავების საფრთხეებს წარმოშობს. სწორედ ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გაიაზროს საკუთარი ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე, განუხრელად დაიცვას შეკრების და მანიფესტაციის უფლება და უარი თქვას დემონსტრაციული საპოლიციო ძალების მეშვეობით მოქმედებაზე.